უწმინდესი პატრიარქის კირილეს სამძიმარი სამთავისისა და კასპის ეპისკოპოს დამიანეს გარდაცვალების გამო

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 01.08.2022. *მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ სამძიმარი გამოთქვა სამთავისისა და კასპის ეპისკოპოს დამიანეს ტრაგიკული გარდაცვალების გამო. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელთმთავარი 2022 წლის 30 ივლისს ავტოსაგზაო შემთხვევის დროს გარდაიცვალა.*

მის უწმინდესობას და უნეტარესობას, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს

თქვენო უწმინდესობავ და უნეტარესობავ, საყვარელო თანამოძმევ და თანამსახურო ღვთის საყდრის წინაშე!

მიიღეთ ჩემი სამძიმარი ყოვლადუსამღვდელოეს სამთავისისა და კასპის ეპისკოპოს დამიანეს ტრაგიკულ გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

დაე, მაცხოვარმა იესო ქრისტემ, *აღდგომამ და ცხოვრებამ* (ინ. 1:25), მიუტეოს მას ყოველნი შეცოდებანი ნებსითნი და უნებლიეთნი, და განუსვენოს ახალშესვენებული მღვდელთმთავრის სული თავის მარადიულ სავანეებში.

ძმური სიყვარულით უფალში

+კირილე,

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი

წყარო: https://mospat.ru/ge/news/89496/